ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №14
2018 წლის 22 იანვარი

ქ.ახალციხე

,,ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხისა და ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების განსაზღვრის შესახებ" ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 14 ნოემბრის №4 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ'' საქართველოს კანონის 34-ე მუხლის პირველი პუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ'' საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

შევიდეს შემდეგი ცვლილება ,,ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხისა და ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების განსაზღვრის შესახებ" ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 14 ნოემბრის №4 დადგენილებაში (ვებგვერდი, www.matsne.gov.ge, 17/11/2017, სარეგისტრაციო კოდი: 010260050.35.138.016283) დადგენილებაში:

1. დადგენილების პრეამბულიდან ამოღებულ იქნეს: ,,ნორმატიული აქტების შესახებ'' საქართველოს კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ'' ქვეპუნქტი.
2. დადგენილებით დამტკიცებული დანართი 1 და დანართი 2 ჩამოყალიბდეს თანდართული სახით..

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე, ხოლო მისი მოქმედება გავრცელდეს 2018 წლის 1 იანვრიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე.

ახალციხის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **გელა ნოზაძე**

დანართი №1

ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის და ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა საშტატო ნუსხა და თანამდებობრივი სარგოები

№	თანამდებობის დასახელება	საშტატო რიცხოვნება	თანამდებობრივი სარგო
საკრებულოს თანამდებობის პირები			
1.	პოლიტიკური თანამდებობის პირი - საკრებულოს თავმჯდომარე	1	3500
2.	პოლიტიკური თანამდებობის პირი - საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე	1	2150
3.	პოლიტიკური თანამდებობის პირი - საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე	5	1500

4.	პოლიტიკური თანამდებობის პირი - საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარე	5	1500
5.	პოლიტიკური თანამდებობის პირი - საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	4	1000
	საკრებულოს აპარატი		
6.	I რანგი - პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - საკრებულოს აპარატის უფროსი	1	1500
	იურიდიული განყოფილება		
7.	II რანგი მეორადი სტრუქტურული ერთეულის იურიდიული განყოფილების ხელმძღვანელი	1	1000
8.	III რანგი - პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - იურიდიულ საკითხებში	1	800
	საორგანიზაციო განყოფილება		
9.	II რანგი მეორადი სტრუქტურული ერთეულის საორგანიზაციო განყოფილების ხელმძღვანელი	1	1000
10.	III რანგი - პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში	1	800
11.	III რანგი - პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - საორგანიზაციო საკითხებში	1	800
12.	III რანგი - მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - საორგანიზაციო საკითხებში	1	700
13.	III რანგი - პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - საქმისწარმოების და ადამიანური რესურსების მართვის საკითხებში	1	800
14.	III რანგი - მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - წერილებისა და კადრების საკითხებში	1	700
	სამეურნეო განყოფილება		
15.	II რანგი მეორადი სტრუქტურული ერთეულის სამეურნეო განყოფილების ხელმძღვანელი	1	1000
16.	III რანგი - პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - სამეურნეო საკითხებში	1	800

დანართი №2

ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შრომითი ხელშეკრულებით დაკავებული პოზიციების ნუსხა და თანამდებობრივი სარგოების ოდენობები

№	შრომითი ხელშეკრულებით დაკავებული პოზიციის დასახელება	ხელშეკრულებით გათვალისწინებული პოზიციების რაოდენობა	თანამდებობრივი სარგო
1.	კონსულტანტი - ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიაში	1	1400
2.	დამხმარე სპეციალისტი - საქმისწარმოების და ადამიანური რესურსების მართვის საკითხებში	1	700